

სალომე ოშიაძე

გლუტონიმთა კონოტაციური ასპექტისათვის ქართულ ლინგვოკულტურაში

სამყაროს ქართული ენობრივი სურათის სრულყოფილი აღწერისათვის აუცილებელია ყველა კულტურული კოდის (სომატური, სივრცული, დროითი, საგნობრივი, ბიომორფული...) შესწავლა. ეროვნული კულტურის თავისებურების გამოსავლენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვების სფეროს, რომელშიც უძველესი კულტურული კოდი – გასტრონომიული (კულინარიული / გლუტონიური) კოდი – რეალიზდება.

ლევან ბერძენიშვილი თავის ნარკვევში „პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე“ იდენტობის კულინარიულ დონეზე საუბრისას აკაკი ბაქრაძის სიტყვებს იმოწმებს, რომლებსაც ჩვენც გავიმეორებთ, რადგან ზედმიწევნით ესადაგება და მოწმობს ჩვენი საკვლევი საკითხის აქტუალურობას: „ეს (იდენტურობის კულინარიული დონე – ს. ო.) უბრალო საკითხი არ გეგონათ – სამზარეულო ნაციონალიზმის ნაწილს წარმოადგენს, რამდენადაც ის უეჭველად არის ეთნიკურობის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტი“.

თავის დროზე (კერძოდ კი 1974 წელს) ერთი წიგნის რეცენზიაში (ეს იყო ვ. ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ – საქართველოს ისტორიის საყმაწვილო-პოპულარული გამოცემა) აკაკი ბაქრაძემ ასეთი რამ დაწერა: „ქართველმა კაცმა ამირანის თქმულებაც შექმნა და უფლისციხეც ააშენა, ვახის ნაირნაირი ჯიშებიც გამოიყვანა და „ვეფხისტყაოსანიც“ დაწერა, კლდეში ვარძიაც გამოკვეთა და საცივიც მოიგონა, სვეტიცხოველიც ააგო და სულგუნიც დაამზადა. დიახ, სრულიად შეგნებულად ვახსენე ერთმანეთის გვერდით, ერთი შეხედვით არსებითად განსხვავებული საგნები – ვარძია და საცივი, სვეტიცხოველი და სულგუნი. სულგუნისა და საცივის მომგონებელი ისეთივე ნიჭიერი კაცი იყო თავის საქმეში, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. ვინც სულგუნს და საცივს ამზადებდა, ისევე ინახავდა საქართველოს, როგორც დიდგორს გამარჯვებული

მხედრები. როცა ჩვენი ხალხის შესახებ ვლაპარაკობთ, ფართო გაგებით მის ისტორიას ვყვებით, ყველაფერი ეს უნდა აღინუსხოს და აღიწეროს. აქ ჩანს სწორედ ხალხის შემოქმედებითი სული“ [ბერძენიშვილი 2005: 64].

რატომ ვირჩევთ **გლუტონიას** და არა დამოწმებულ ციტატაში ნახსენებ **კულინარიას** ან თუნდაც **გასტრონომიას**? თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიურსა თუ ზოგადკულტუროლოგიურ გამოკვლევებში კვების სფეროს აღწერისას სინონიმური მნიშვნელობით ერთმანეთის გვერდით იხმარება შემდეგი ტერმინოლოგიური შესიტყვებები: გასტრონომიული // კულინარიული // კულინარიულ-გასტრონომიული // რესტორნული და გლუტონიური სფერო // ლექსიკა // დისკურსი თუ სხვ.

სხვადასხვაენოვანი ლექსიკონების მიხედვით, **გასტრონომიის** დეფინიციურ ველში სამი ძირითადი მომენტია გამოკვეთილი: 1. იგი სახელდებულია მეცნიერებად ან ხელოვნებად; 2. აღნიშნავს ძვირფას, მაღალხარისხოვან პროდუქტებს; და ბოლოს – 3. გულისხმობს საკვების დახვეწილი გემოს შეფასების უნარს.

კულინარია განმარტებულია როგორც საკვების მომზადების პროცესი, ამასთანავე, ნაგულისხმევია აღნიშნულ პროცესში გამოსაყენებელი ნივთებიცა და რეცეპტებსა თუ ინსტრუქციებში აღბეჭდილი წესების დაცვაც.

საგულისხმოა, რომ ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში გასტრონომია კულინარიის მეშვეობითაა განმარტებული: „**გასტრონომია** (გასტრონომიისა) [ფრან. gastronomie] 1. გემრიელი საჭმელების, კულინარიის ცოდნა. 2. საკვები პროდუქტების, ძირითადად – ხორცისა და რძის ზოგადი სახელწოდება“ [ქეგლი 2010: 1186]; „**კულინარია** (კულინარიისა) [ლათ. culina-დან სამზარეულო რუს. ენის. მეშვ.] საჭმლის დამზადების საქმე; ამ საქმის ოსტატობა“ [ქეგლი 1955: 1415].

რაც შეეხება **გლუტონიასა** და მისგან ნაწარმოებ გლუტონიმს, ისინი ნეოლოგიზმებია, რომელთა შემოტანა სამეცნიერო ენაში ა. ოლიანიჩის სახელს უკავშირდება [ოლიანიჩი 2007]. ლათინური სიტყვა *gluttire*, რომლიდანაც დასახელებული ტერმინები მომდინარეობს, ადამიანის მიერ საკვების მიღებას აღნიშნავს და, ამასთანავე, „წრეგადასული ჭამის“, „გადაძლომის“ სემანტიკასაც შეიცავს. როგორც ვხედავთ, გასტრონომიის, კულინარიისა და გლუტონიის ცნე-

ბითი მოცულობები ერთმანეთს არ ფარავს. ის, რამაც ჩვენი არჩევანი „გლუტონისკენ“ გადახარა, „ნაყროვანების“ ძველი მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ „ნაყროვანების ცოდვის“ მოშიშ მართლმადიდებელთა ქართულ დისკურსში, რომელშიც გემოთმოყვარეობა ღმერთისგან განმამორებლად, სხვა ცოდვათა საფუძვლად და მიჩნეული და არაერთი ლექსემა მოწმობს აღნიშნულისადმი უარყოფით დამოკიდებულებას (მაგალითად, ღორმუცელა, ავმუცელა, მუცელღმერთა, მუცელგასახეთქი, კუჭია და სხვ.), უხვი სუფრა და ხანგრძლივი ნადიმი ჩვენი კულტურისათვის ჯერაც მკვიდრი ნიშანია.

გლუტონიური დისკურსი კომუნიკაციური პრაქტიკის ის სახეა, რომელშიც ინტენსიური და თვალსაჩინოა კულტურისა და ენის ურთიერთქმედება. კულტურული ინფორმაცია შენახულია გლუტონიმთა მნიშვნელობის როგორც დენოტაციურ, ასევე კონოტაციურ ასპექტში. ამდენად, კვებასთან, როგორც ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ყოველდღიურ ქმედებასთან, დაკავშირებული ენობრივი მასალა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით.

აღნიშნული ტიპის დისკურსის საანალიზოდ შემუშავებულ სქემებში გამოყოფენ „კვების“ სემანტიკურ ველში შემავალ სხვადასხვა ჯგუფს, ესენია:

- კვების პროდუქტების სახელწოდებები (ფქვილი, კვერცხი, ერბო, კარტოფილი, ვაშლი და მისთ.);
- კერძების სახელები (ვინეგრეტი, ჩაქაფული; ქულიენი და სხვ.);
- ჭურჭლის სახეობათა სახელები (იქნება ეს სამზარეულო ჭურჭელი, მაგალითად, ქვაბი, ტაფა, თუშფალანგი თუ სუფრის გასაწყობი, მაგალითად, თევში, როზეტი, სირჩა, ფუჟერი და მისთ.);
- კერძების მომზადების პროცესთან დაკავშირებული ზმნური ლექსიკა (თუშავს, ხრაკავს, წვავს, ხარშავს, აცხობს...);
- კვებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ქმედების მონაწილეთა სახელები (ყასაბი, ხაბაზი, მზარეული, კულინარი, დეგუსტატორი, სომელიე, მერიქიფე, ოფიცინტი და სხვ.);
- საკვებისა და სასმლის მიღების პროცესთან დაკავშირებული ქრონოტოპული ერთეულები (დროითი თვალსაზრისით სახელდებული ჭამა-სმა: საუზმე, ლანჩი (მეორე საუზმე), სადილი, სამხარი, ვახშამი; საკვების მისაღები ადგილები, კვების ობიექ-

ტები: სახინკლე, სამწვადე, სალობიე, სასაუზმე, კაფე, ბისტრო, ბარი, რესტორანი და სხვ.);

- ტრაპეზის მიზნობრიობით აღბეჭდილი სახელები (ქელები / ალაპი, ქორწილი, ნიშნობა, ნათლობა, დღეობა და სხვ.);
- კულინარიული რეცეპტების ტექსტები;
- კულინარიული ტელეშოუების საკომუნიკაციო სიტუაციათა თემები და სხვ.

როგორც ვხედავთ, კულტუროლოგთა სქემებში ცალკეული ჯგუფები ლექსემათა წმინდა კოგნიტიური მნიშვნელობებითაა შექმნილი, ჩვენი მიზანი კი გლუტონიმთა კონოტაციური ასპექტის განხილვაა.

გლუტონიმთა კოგნიტიურ მნიშვნელობაშიც უხვად არის შენახული ნაირგვარი კულტურული ინფორმაცია. ამ ჯგუფის ერთეულთა უმეტესობას გამჭვირვალე შინაფორმა აქვს. განსაკუთრებით ეს ითქმის კერძების სახელწოდებებზე. ერთი რიგის სიტყვებში ნომინაციის საფუძველი კერძის ინგრედიენტები გამხდარა: **ერბოკვერცხი, ერბოჭიმური, ჩახოხხილი, ნიორწყალი, მზლოვანი, დომხალი, ხაჭაპური** და სხვ. ცალკე ჯგუფს ქმნის კერძის მომზადების სხვადასხვა ხერხის სახელდებით მიღებული სახელწოდებები, ვნებითი გვარის ნამყო დროის მიძღობები: **ჩაქაფული, ჩაშუშული, ნადული** და სხვ. ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ **მწვადი, ტაფამწვარი**, ამ უკანასკნელი ერთეულის სტრუქტურაში წვის პროცესთან ერთად სათანადო ჭურჭელიც სახელდება (ჭურჭლის სახელწოდებიდან მომდინარეობს ცხვრის ხორცი, ბადრიჯნითა და პომიდვრით მომზადებული კერძის სახელი **ჩანახიც**: თურქულ. „ჩანაქ“ – თიხის ჯამი), ასევე **დამზალხაჭო**, რომელიც ტექნოლოგიურ პროცესთან ერთად მთავარ ინგრედიენტსაც ასახელებს, გვაქვს იმგვარი სახელებიც, რომლებშიც კერძის წარმომავლობაა ასახული, მაგალითად: **შემერული, აფხაზურა** და სხვ.

ყოველ ხალხს აქვს სპეციფიკური ხატოვან-ასოციაციური მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც საწყის, ამოსავალ მნიშვნელობათა გადააზრება და მეორეულ ნომინაციათა გაჩენა ხდება. მდიდარია ქართულ გლუტონიმთა ახალი მნიშვნელობის წარმომქმნელი პოტენციალი, რომლის რეალიზება სხვადასხვა მიმართულებით ხდება. განვიხილავთ იმ შემთხვევებს, როდესაც გლუტონიმს ფონემური შედგენილობის შეუცვლელად უვითარდება ხატოვანი მნიშვნელობა.

„როგორც წესი, კონოტაცია სიტყვიდან მომდინარე ასოციაციებს ეყრდნობა, მაგრამ ზოგჯერ ის რეალის თვისებებით არის მოტივირებული“ [მასლოვა 2004: 56]. სწორედ აღნიშნულს ნათელყოფს შემდეგი მაგალითები: **აჯაფსანდალი** და **დომხალი** მზა კერძთა სახელებია, თითოეულის დენოტაციური მნიშვნელობა არის კონკრეტული კერძის სახელდება, ორივეს კონოტაციური მნიშვნელობა კი გახლავთ **არეულ-დარეულობა**, რაც ამ სიტყვებით აღნიშნული რეაქციების თვისებაა:

გლუტონიმი	დენოტაციური მნიშვნელობა	კონოტაციური მნიშვნელობა
აჯაფსანდალი	პომიდვრის, ბადრიჯნისა და კარტოფილისაგან მომზადებული შეჭამანდი.	საუბ. გადატ. ერთმანეთში არეულ-დარეული, უთავბოლო (ნაწერი, ნათქვამი), – დომხალი.
დომხალი	დუღილით შესქელებული, გაწურული და მწვანილით შენელებული დო.	გადატ. არეულობა, ქაოსი; გაურკვეველობა. ნამდვილი დომხალი[ა] – დიდი გაურკვეველობა, არეულ-დარეულობა.

„სიმსუქნე, რომელსაც რძე მოიგდებს ხოლმე თავზე ადუღებისას“, ასეა განმარტებული ქეგლში **ნაღები**, რომლის კონოტაციურ მნიშვნელობაზე ამავე ლექსიკონში არაფერია ნათქვამი, თუმცა თედო სახოკიას ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში ვკითხულობთ: „**ნაღები** რისამე საუკეთესო ნაწილი“ [სახოკია 1979: 457]. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს თანამედროვე მედიატექსტებიდან: „ჩვენ უნდა შევძლოთ და სასამართლო ხელისუფლებაში მივიზიდოთ **იურიდიული საზოგადოების ნაღები**“; „**შოუბიზნესის ნაღები** დღეს ახალ ძალას უმღერის“, „დარბაზში იყო, როგორც მოსკოვის **ინტელიგენციის ნაღები**, ასევე პარტიული ნომენკლატურაც“; გვხვდება იმგვარი კონტექსტებიც, რომლებშიც ნაღები მსაზღვრელია და არა საზღვრული: „მას მხარს უჭერს თბილისის **ნაღები საზოგადოება**“, „თითქმის სულ გაანადგურეს ნაღები ინტელიგენცია“ და სხვ.

არც **მარილის** გადატანითი მნიშვნელობა არ არის მოცემული ქეგლში, თუმცა მისი კონოტაციური ველის შესახებ **უმარილოს** გან-

მარტებით გვეცნობება: **„უმარილო** – 1. რასაც მარილი არა აქვს ან აკლია; 2. **გადატ.** მიმზიდველობას მოკლებული, – უსანდომო, უემზო. || **ფიგურ.** თუ ზღაპარს, არაკს, იგავს აზრი არა აქვს, უგემურია, უმარილოა (ილია)“ [ქეგლი 1960: 1516]. თ. სახოკიას ლექსიკონში მარილიც დასტურდება და მისგან ნაწარმოები ქონებისა და უქონლობის სახელებიც: **„მარილი** მშვენიერება, სილამაზე, მიმზიდველობა, სიმახვილე გონებისა, გინა ლაპარაკისა. „მარილის მთხოვნელს თუ მარილს არ მისცემ, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო“ (ანდაზა); „მადლი ჰქენი, მარილიც მოაყარეო“ (ანდაზა). **მარილიანი** ეშხიანი, სანდომიანი, ლამაზი, მიმზიდველი. „მერე დედა-შენი? – იკითხა არჩილის დამა და თავისი **მარილიანი** თვალები მიაშუქა გიორგისა“ (ილია)“ [სახოკია 1979: 373]. **„უმარილო** უმზო, ულამაზო. „– ქალი არ მოსწონს. ნუ გეწყინება კი და უმარილო არისო“ (ილია)“ [იქვე: 630]. ლექსემა **მარილის** კოგნიტიური მნიშვნელობის ხატოვან-ასოციაციური გადატანის გზას ყველაზე ნათლად მოწმობს სახარებისეული კონტექსტი, იესოს სიტყვები მოწაფეებისადმი: „თქუენ ხართ **მარილნი ქუეყანისანი**. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაფთა-მე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არნ მერმე, არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ (მათე 5: 13).

ძირითად გემოთა აღმნიშვნელ სახელებსაც, როგორც კომუნიკაციური რელევანტურობის მაღალი ხარისხის მქონე ნიშნებს, უზნდებათ სხვა რიგის მნიშვნელობები, ზოგჯერ რამდენიმეც კი, დავიმოწმებთ ქეგლის მონაცემებს:

გემოს აღმნიშვნელი გლუტონიმი	ძირითადი მნიშვნელობა	სხვა რიგის მნიშვნელობები
ტკბილი	1. სასიამოვნოდ შესაგრძნობი, შაქრის, თაფლის გემოს მქონე. გადატ. გემრიელი.	2. გადატ. სიამის მომგვრელი, სასიამოვნო; ბედნიერი; მყუდრო, წყნარი. 3. გადატ. კეთილი, სათნო, ალერსიანი.
მწარე	1. სპეციფიკური არასასიამოვნო პირის დამწველი გემო (საპირისბ. ტკბილი).	2. გადატ. მეტისმეტად შემაწუხებელი. რასაც მწუხარება, დარდი, უბედურება ახლავს, – სამწუხარება.

		რო, დარდიანი, ნაღვლიანი. 3. გადატ. გესლიანი, ღვარძლიანი. 4. გადატ. ცხარე, გაშმაგებული.
მეავე	1. სპეციფიკური მწვავე გემო, – ჭმახი (როგორც აქვს, მაგ., ტყემალს, ძმარს, ლიმონს და სხვ.).	2. დამყავებული, დამწნილებული. კუთხ. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც მწნილი. საუბ. გადატ. უსიამოვნების გამომწვევი, უშვერი, უხამსი.
მლაშე	რასაც მარილის გემო აქვს. მარილიანი. ზომაზე მეტად მარილიანი.	

როგორც ვხედავთ, „**მლაშე**“ მხოლოდ დენოტაციური მნიშვნელობითაა ცხრილში წარმოდგენილი, მისი დეფინიციური კომპონენტის – „**მარილიანის**“ კონოტაციური მნიშვნელობა ზემოთ განვიხილეთ, აქ კი უშუალოდ იმავე ძირით ნაწარმოები ნასახელარი ზმნა „**გადაამლაშება**“ უნდა ვახსენოთ და მისი პირიანი ფორმის განმარტება მოვიყვანოთ ქველიდან:

გადაამლაშებს	1. ზომაზე მეტად დაამლაშებს.	2. საუბ. გადატ. ზომიერების საზღვრებს გადასცილდება, ზედმეტს იტყვის, – გადაამეტებს, გადააჭარბებს.
---------------------	-----------------------------	--

თვითონ „**გემო**“, რომელიც გლუტონიის საყრდენი ერთეულია, სამყაროს ხატოვანი ენობრივი სურათის შექმნაში აქტიურად მონაწილეობს და სხვა კონოტაციურ სიტყვებსაც წარმოქმნის, რის საილუსტრაციოდაც შესიტყვებებს მოვიხმობთ: **ცხოვრების / სიყვარულის / უსამართლობის გემო; გემრიელი ძილი/ზაფხული/ღიმილი; უგემური გარემო/ქცევა/ლაპარაკი; უგემრიელესი მოგონება/სავარძელი/ფხვსაცმელი; იგემა მარცხი/ტკივილი/წარმატება; აგემოვნებს სიტყვას/ნოტს/ფერს** და სხვ.

გემოსვე უკავშირდება ეტალონური შედარების გზით მიღებული შემდეგი ლექსემები, რომლებიც გლუტონიმთა მიერ აღნიშნული რეალიებიდან მომდინარეობს: **დათაფლვა, მოთაფლვა; დაშაქვრა, დაშაქრება; ძმარვა, დაძმარება; გაპილპილება; გაწიწმატება** და სხვ. ყველა შემთხვევაში ხატოვანი გადატანის გზა მსგავსებით შედარებაზე გადის: შაქარივით/თაფლივით ტკბილი; ძმარივით მყავე; პილპილივით/წიწმატივით ცხარე. ყოველ -ვით-თანდებულის კონსტრუქციაში, რომლის საშუალებითაც ადამიანი გემოთი აღქმულ შეგრძნებებს გამოხატავს, შესადარებელი სიტყვა იმ თვისების ეტალონია, რომლის ასახვაც სურთ. მიუხედავად იმისა, რომ გემოს, სუნის, ხედვის, სმენის, შეხების ორგანოთა ფიზიოლოგია ადამიანებს ერთნაირი აქვთ მთელ დედამიწაზე, ეტალონების შერჩევას განაპირობებს ერის (ეთნოსის) კულტურის ენა, რომელიც წარმოადგენს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის იმ ნიშანთა და საშუალებათა ერთობლიობას, რომლებიც ახდენენ ეთნოსის კულტურის სპეციფიკის ობიექტივაციას და ასახავენ მის მიმართებას სხვა ეთნოსთა კულტურებთან [ომიაძე 2009: 124].

ზემოთ განხილული ყველა სიტყვა, ძირეულიც და წარმოქმნილიც, გარდა ერთისა, გლუტონიური დისკურსის კუთვნილებაა. რაც შეეხება იმ ერთს – **გაწიწმატება** გაცხარებაა, მაგრამ არა გემოთი, არა კერძისა (შდრ. „მზარეულმა კერძი გადაამლაშა“ და „ჟურნალისტი ვერ მიხვდა, რომ გადაამლაშა“). გაცხარება, თავის მხრივ, გადატანით ნიშნავს გაბრაზებას. სხვა არაერთი სიტყვაა ქართულში, რომელთა სტრუქტურაში გლუტონიმი მონაწილეობს, მაგრამ ახალწარმოქმნილ ერთეულს გაწყვეტილი აქვს გლუტონიასთან კავშირი, ასეთებია: **ეპიტნავება; წამოჭარხლდა, განიორწყლდა, გაიშოტა** (< **გაიშოტა**), **გამოქლიავდა (ვულგ.)** და სხვ., რომლებიც ასევე გამოსავლენი და შესასწავლია, როგორც გლუტონიური კოდის ენობრივი რეალიზების ნიმუშები.

აღსაწერია სახელდობრ კულინარიულ ზმნათა (ადუღებს / დუღდება, ხარშავს / იხარშება, აცხობს / ცხვება, წვავს / იწვება, ხრაკავს / იხრაკება და მისთ.) კონოტაციური ველიც. შესასწავლია გლუტონიმთა პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებები. გლუტონიური დისკურსის ანალიზით მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართული ენით სამყაროს როგორც ობიექტური, ასევე ხატოვანი სტრუქტურირების შესახებ.

ლიტერატურა

ბერძენიშვილი 2005 – ლ. ბერძენიშვილი, პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე, კრებული „საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე“, თბილისი.

მასლოვა 2004 – В. А. Маслова. Лингвокультурология. Москва.

ოლიანიძე 2007 – А. В. Олянич. Презентационная теория дискурса. Москва.

ომიაძე 2009 – ს. ომიადე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი.

ქეგლი 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბილისი.

ქეგლი 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VI, თბილისი.

ქეგლი 2010 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. II, თბილისი.

Salome Omiadze

On the Connotational Aspect of Gluttonyms in Georgian Linguoculturology

Summary

A gluttonous discourse is a type of communicative practice in which interrelation between the culture and the language is intensive and apparent. The cultural information is stored in both denotational and connotational aspects of the meanings of gluttonyms. The Linguistic material related to nutrition as a daily vital action is of particular interest in terms of linguoculturology.

In the schemes developed for the analysis of such a type of discourse, different groups included in the semantic field of “nutrition” (e.g. the names of food, dishes, the verbal vocabulary related to the

process of cooking, the texts of recipes, etc.) are distinguished that were created with the pure cognitive meanings of lexemes and our aim is to discuss the connotational aspect of gluttonyms. Every nation has its own figurative-associative mechanisms through which the original meanings are rethought and the secondary nominations emerge.

The paper describes the generating potential of new meanings of the lexical units related to nutrition and the two directions of its realization: acquiring a figurative meaning by a gluttonym (e.g. domxali - 1. An evaporated pressed dairy product seasoned with herbs; 2. Chaos, uncertainty) and forming a denominative verb using the base of a gluttonym (e.g. çığmađı “cress” and gaçığmađeba “getting angry”) the bases of which is again the figurative-associative interpretation of a meaning.